10/03/2022

“აზრს დაკარგავს ჩვენი მარხვა თუ უკრაინელ ლტოლვილებს არ შევიფარებთ” – რუმინეთის პატრიარქი

,,რუმინეთის საპატრიარქო მადლობას უხდის ყველა ეპარქიას, რომელიც გამოეხმაურა მის მოწოდებას ძმური თანამშრომლობის შესახებ და აგრძელებს წვლილის შეტანას უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებლად.

კერძოდ, მადლობას ვუხდით უკრაინის საზღვარზე არსებულ ეპარქიებს: ბესარაბიის, სუჩავასა და რადაუთის, მარამურესა და სატმარის ასევე ტულჩეას.

ჯერ კიდევ აუცილებელია უკრაინელი ლტოლვილების დახმარება, რომლებიც ტრანზიტით გადმოდიან რუმინეთში ან ცოტა ხნით აქ რჩებიან.

ამავდროულად, მოწოდებული ვართ, გავზარდოთ ჩვენი ლოცვა ღმრთის მიმართ, რათა ომი დასრულდეს და მშვიდობა იყოს, რათა ლტოლვილები სამშობლოში მალე დაბრუნდნენ!

განსაკუთრებით ახლა, დიდმარხვის დროს, როცა მხურვალე ლოცვა განაპირობებს ცოდვის გულწრფელ სინანულს და ნაყოფიერ მარხვას ხდის სიმდაბლე, მშვიდობისა და სიკეთის გამო, აუცილებელია გულის სიმშვიდის მოპოვება და ხალხთა შორის მშვიდობისთვის ლოცვა.

დანიელი პატრიარქი სრულიად რუმინეთისა.”

wenews.ge